



ვერსად ვერ გაგვექცევიან

ნახ. ო. გაბაშვილისა

მოსკოვის ირგვლივ მოზოზდენ, ვით შხამიანი გველები, ტრაბახით ამცნეს ქვეყანას „ჩვენ ვართო უძღვევლები“. მაგრამ დარტყმა რომ იგემეს, მათ იმედებმა უგანა,

როგორც ნაცემმა ძაღლებმა ისე მოცოცხეს უკანა. გაქცევის კროსში ერთმანეთს უსწრებენ, ვერ ეწევიან, ამაო ცლაა, ჩვენს დარტყმას ვერსად ვერ გაექცევიან.



„უძლეველი“ ფაშისტი გენერლები, მოსკოვის, როსტოვის და ლენინგრადის ფრონტებიდან ბერლინში „საპარადოდ დაბრუნების“ შემდეგ უცდიან „ფიურერთან“ შესვლის რიგს, რათა მოახსენონ მას „მოპოვებულ გა- მარჯვებათა“ შესახებ, რის ნიშნებიც უდავოდ ამშვენებს მათს გარეგნო ბას.

რას ფიქრობდა „ფიურერი“

ზის ბერლინში ფიურერი, ტუჩზე ღიმილდაფენილი, მისი ფიქრი, მისი ნატვრა მოსკოვშია გაფრენილი, თუმცა გულის ერთ კუნჭულში როსტოვსაცა ხაზავს იგი, თან კავკასის საქმეებსაც სწვდება მისი თადარიგი.

ზის და რუკას თვალს აყოლებს დასავლიდან-აღმოსავლით, და ბაქოდან ლიბიაშემდეგ დედამიწას ზომავს მტკავლით.

ზომავს, ფიქრით და ოცნების აგებს კოშკებს ისე ფართებს, რომ სიზმრადაც არ უნახავს ნაპოლიონ ბონაპარტეს.

„აი, მოსკოვს ალყას არტყამს „უძლეველი“ მისი ჯარი: ბინოკლიდან უკვე მოსჩანს აწ წითელი მოედანი,

კრემლის კოშკზე დიდ საათის ისარი რომ ბრუნავს ნელად, ის ნაცისტთა გამარჯვების მოწმე უნდა გახდეს ხელად.

ერთი მარში და მოსკოვიც ქადასავით მოერთმევა, ფაშისტების რკინის ქუსლი მის ქვაფენილს მოერთყმევა;

და იმ წითელ მოედანზე, იმ კრემლის წინ, იმ საათთან, (პუბუზ!) უკვე „ფიურერი“ ნაცისტების პარადს მართავს, და ისე ვით ბონაპარტე, აქტიურულ დგება პოზით, და „დვთაებრივ სიბრძნით სავსე“ სიტყვას ამბობს „მნატრულ“ პრაზით:

— მე ასე მსურს, მე ისე მსურს, აწ ესმოდეს ჩემგან ყველას, რომ მსოფლიო ფაშიზმისგან მოელოდეს უნდა შველას,

აქ მოსკოვი დღეს ავიდე, იქ როსტოვი—გასულ კვირას, კავკასიის გასაღებიც ამით უკვე ხელთ მიჭირავს,

ერთი მარშიც და საბჭოეთს „ბუტერ-ბროდათ“ შევქმამ, მგერა, ამის შემდეგ, ჩემი ჯარი ბრიტანეთსაც შეუბერავს,

ხულ უბრალოდ, ხულ იოლოდ, ამ საქმესაც მოვთავებ, ვეროპასა და აზიას, ფუტბოლივით ვაბურთავებ,

ამ პლანეტის, ზღვა და ხმელზე „ახალ წესრიგს“ დავამყარებ, ესე იგი მას ჩვენს მონად ვაქცევ, სხვას არ გავაკარებ,

— ჰე, დოიჩლანდ, რალა გიჭირს, შენა გრჩება ყველაფერი, რადგან შენ ჰშვი და აღზარდე ფაშიზმი და ფიურერი,

მარცხე ყველა, მოჰკალ ყველა, ფიქრი ნუ გაქვს ნურაფრისი, რადგან შენს წინ უკვე მოვსპე უფლება და სინილისი.

მაგრამ თუ კი, თუნდ ერთ წუთით გაჩნდა ვინმე ამ სამყაროს, რომ დღეს ჩემს გამარჯვებაში ოდნავ ეჭვი შეებაროს, თავს მოკვებთავ, სიცრუისთვის ტანჯვას შეეყრი ათასწყევას, ნაცისტების უძლეველ ჯარს, ვინ დასწამებს დამარცხებას?“

ამ სიტყვებზე წამოხტება, სახეს იხდის მწყურალს და კუშტსა, — „ვინ დამწამებს დამარცხებას?“ — და მაგიდან არტყამს მუშტსა, და ისაა, რომ ავეჯი სულმოთლად უნდა მიმოღწეოს, რომ უმაღლ წინ ეტუზება მას ჰებელსი ერთი ბეწო.

მას ხელები უკანკალდებს, სახეს ფითრის ფერი ჰფერავს, ბაჭუა ცხვირის აცმაცუნებს, და ნესტოებს უშნოდ ბერავს.

— ჰა, რას იტყვი? — ეკითხება „ფიურერი“ გულმოსულად, — მოსკოვშია ჩვენი ჯარი, თუ ჯერ კიდევ არ შესულა?

— ო, ფიურერ, ჩვენი ჯარი, უსუნთქებლივ გარბის სწრაფად, დაუძლეველ მის სარდლობას სირბილისგან ადგას ჯაფა, სანგრებიდან ამომხტარი, ყველა ოფლით გაიქაფა.

— გარბის? — ჰკითხავს ფიურერი, — სანგრებიდან ამომხტარი? მაშ მოსკოვში მალე შევა, უძლეველი ჩემი ჯარი, ვაშა, ვაშა, „უბერ-ალეს“, ჰაილ, ქება მას მარადი, ხვალვე წითელ მოედანზე დამინიშნეთ, მაშ პარადი.

— რის პარადი, ფიურერო? ხომ გითხარით: გულის ხეთქით, რომ ჯარიც და მის სარდლობაც უსუნთქებლივ გარბის მეთქი? — საით გარბის, არამზადავ, მოსკოვისკენ გარბის ხომ ის?

— არა, გარბის მოსკოვიდან, თხის ჯოგავით დანაფრთხობი.

— მოსკოვიდან? როგორ ბედავ, რომ ცილს სწამებ ჩემს მხედრობას? თავს მოკვებთავ, ლაწირაკო, არ შეგარჩენ თავხედობას... „ჰეი, ცული გაილესოს“ — ფიურერი ყვირის მჭავედ, „გაილესოს, უნდა თავი მოეკვეთოს დამნაშავეს“

— : —

და კვლავ ბორავს ფიურერი, შემკვანძველი რისხვით წარბის, აქ კი, აქ კი თხის ჯოგავით მისი ჯარი კვალად გარბის, ჩვენი დარტყმა დევგმირული, მათ კვლავ უღმეკს სიფაოს—მჭავეს, — დე გალესონ მათ ნაჯახი—თავს ჩვენ მოკვებით დამნაშავეს.

ფარსადანი

ისრები

პაპუონის ფირფიცა

ჰებელსი მოუწოდებს გერმანიის მოსახლეობას ჯარისკაცების შეწყობას პატეფონის ფირფიტები, რომ გაუქმდნენ წყლოს ჯარისკაცებს შავი ფიჭვები. გაზეთებიდან

არჩილი „რაინდი“

გაქცეულ ფაშისტებს სდევნის წითელი არმია. ბრძოლის ველზე გაშლართულ ობერლეიტენანტს ბოლჩაში აღმოაჩნდა ნაძარცვი ნივთები: ქალის ტუფლები, სვიტრი, კალოში, ფოლაქები და სხ.

(გაზეთებიდან)

ფაშისტ „გმირებს თან დააქვთ ბოლჩები და სკივრები, რომ შიგ აწყონ, ალაგონ ნაძარცვ-„ნანადირევი“.

„ომს იხდიან“ ბავშვებთან ძარცვას ბრძოლად სახავენ, და სკივრებში „რაინდულ“ ორნამენტს ინახავენ:

ქალის ტუფლებს, სამკერდეს, ფოლაქებს და პერანგებს. „რაინდული წესრიგი“ ჩამწარდებათ ვერაგებს.

ობერლეიტენანტიც, ფიურერის ლაქია ყაჩაღი და მზაკვარი ავაზაკი, ბაქია —

ჯარისკაცებს ვით „წესი“ თვით მაგალითს აძლევდა და ძარცვაში მის ტემპებს სხვის ტემპი ვერ დაძლევდა.

მაგრამ ჩვენმა არმიამ იგი ქვეწარმავალი მოსპო, გაანადგურა საყაჩაღოთ მაგალი.

ს. ი—ძე

შებელსი უკრავს პატეფონს ვით „მოუვარული“ მუსიკის, ჯარს გაუგზავნის ფირფიტებს სამაგიეროდ „ტრუსიკის“; —

უნდა ფოქსტროტი გაართავ ფაშისტი ჯარისკაცთა, ვისაც მკებნარი ესევა, ქალის პერანგი აცვია.

მაშ, რა ქნას „იტალიური ბუზხალტერიის“ მცოდნემა, რომ მარცხი შემოსავალში მას მისცა აგიტ-ბოლვებმა?

სწუხს აპოლონა, — მას შიშს გვრის ჩვენს ფრონტზე ომის შედეგი, უკან ქცეულ „უძლეველს“ ჯარს ეუბნება: „შესდექი!

ოღონდ გაუძელ წითლებს და რუსეთის ზამთრის ყინვასო, თავი რად უნდა დაზოგო, თუ ფიურერი გიუვარსო? —

ამ პატეფონის ფირფიტას გიგზავნის ფიურერიო, — ვინც შენთვის ფიჭობს მუდამდღე, და მეც ხომ შენთვის ვმღერიო.

გშიოდეს, — „რუმბა“ დაუკარ, და თუ შეგცივდეს — „ფოქსტროტი“, შეჭველია, გაგატანთ რკინის ჯვარს ომში თუ მოკვდი.

სანდრო.

სიკვდილის ცეკვა

ჰებელსმა მოუწოდებთ მიმართა გერმანიის მოსახლეობას შესწირონ ჯარისათვის პატეფონის ფირფიტები—მსუბუქი მუსიკით.

ნახ. დონისა



— სწორედ უცნაურია, ჩვენ საცეკვაო ფირფიტები ახლა მოგვაქვს, ჩვენი ჯარისკაცები კი უკვე ცეკვავენ. რა ჰქვიათ ამ ცეკვას?
— სიკვდილის ცეკვა ბატონო პოლკოვნიკო.



სცენა პირველი

გენერალი ფონ-მხეცერბერგ—გერმანელი ფაშისტი გენერალი.

ფრიც ცრუბერგ—ფაშისტების საინფორმაციო ბიუროს თანამშრომელი.

გენერალი—ჰა, ცრუბერგ! დაბრძანდით თქვენთვის ბევრი რამ გვაქვს საინტერესო, მხოლოდ თქვენ იცით როგორ გაალამაზებთ ცნობებს, ჩვენ საშხედრო ბირებს გვხიბლავს თქვენი ხელოვნება. ხშირად ჩემს მიერ მოცემულ ცნობას ისე გადააკეთებთ, რომ მე თვით იჭვი მეპარება რომელია მართალი: რაც მე ზოგაწოდებთ თუ რაც თქვენმა ფანტაზიამ შეთხზა.

ცრუბერგ—ბატონო გენერალო, ჩვენ ნაცისტ ეურნალისტებს მუდამ გვახსოვს ფიურერის ბრძნული დარღვევა: „იცრუე ისე რომ კაცმა ვერ წარმოიდგინოს, რომ ასეთი ტყუილის თქმა შეიძლებოდაო“.

გენერალი—ხა-ხა-ხა... ჩინებულა და თქვენც სტყუით ფიურერის სანქციით არა?... ჩინებულა... აი რა ჩემო კარგო, მე ახლა მივიღე ცნობა, რომ ჩვენი ჯარის ნაწილები შევიდნენ როსტოვში. ჯერ არავითარი ცნობები არა მაქვს როგორ მოხდა ეს, რა მსხვერპლი გავიღეთ ამისთვის, მაგრამ...

ცრუბერგ—ამაზე ნუ სწუხართ, დაწვრილებითი ცნობებს მე უთქვენოდაც კარგად შევიდგენ (ის თან ლაპარაკობს, თანაც წერს).

გენერალი—თქვენ უკვე შეადგინეთ ვგონებ, ხა-ხა-ხა,—დასწყევლოს ღმერთმა... წამიკითხეთ, წამიკითხეთ...

ცრუბერგ—ინებეთ! (კითხულობს) არილებმა უმაგალითო გამარჯვება მოიპოვეს, საზღაპრო გენერალმა კლვისტმა ხელთ იგდო კავკასიის გასაღები: ქალაქი როსტოვი. ამ გასაღებით ჩვენ შეგვიძლია გავაღოთ ირანისა და შემდეგ ინდოეთის კარებიც. ტყვედ წამოვიყვანეთ 99.999 წითელარმიელი და მეთაური, ჯერ ზუსტად არაა გამორკვეული თუ რამდენ მილიონს უდრის დაზოცილ წითელარმიელთა რიცხვი.

გენერალი—ჩინებული თქმაა. ამ გასაღებით ჩვენ შეგვიძლია გავაღოთ ირანის და ინდოეთის კარებიც. ჩინებულა აგრეთვე ტყვეთა რიცხვი 99.999 კაცი,—ხა-ხა-ხა... საკვირველია როგორ ახერხებთ ტყუილების ასეთ ზუსტ ციფრებში ჩამოყალიბებას.

ცრუბერგ—ამას ჩვენ კი არ ვახერხებთ, ჩვენი ფიურერის სიბრძნე გვახერხებინებს.

გენერალი—მესმის, მესმის... ფიურერის სანქციით... ხა-ხა-ხა!

სცენა მეორე

(იგინივე)

გენერალი—ცრუბერგ, კარგა ჰქენით რომ მოხვედით, თქვენთვის გვაქვს საქმე. ჩვენი ჯარები შევიდნენ ელევსში და ტიხინში; ნამდვილი ცნობები ამ ქალაქების აღების ძალიან დამაღონებელია ჩვენთვის, რადგან უამრავი დივიზიები დაგვეხოცა, მაგრამ შენ შენებურად შეადგინე ცნობა...

ცრუბერგ—ახლაც, ბატონო გენერალო (სწერს)—რამდენიმე წუთის შემდეგ უკითხავს) არიული სისხლი საბოლოოდ იმარჯვებს, ჩვენ დავიკავებთ ელევსი, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. აქ საბოლოოდ განადგურდა საბჭოთა კავშირის ავიაციისა და ტანკების ნაშთები. დავიკავებთ აგრეთვე ქალაქი ტიხინი, ამ ქალაქის აღებით დავამტკიცებთ, რომ რუსეთის ზამთარი ჩვენთვის საშიში არ არის, რაც მეტი ყინვა იქნება მით უკეთესია ჩვენთვის, რადგან ჩვენი ტანკები, არხინად დასრიალებენ ყინვაზე, თუმცა ამ უკანასკნელი გამარჯვებით ისე მოგსპეტ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები რომ ჩვენთვის ტანკები და საზოგადოდ იარაღი აღარც კი არის საჭირო. ლენინგრადი და მოსკოვი, ალბათ, მალე შემოგვეგებებინან პურმარილით.

სცენა მესამე

(ისევ იგინივე)

გენერალი—კიდევ მოხველ შე გაიძვერავ, რომ სწერდი როსტოვი ინდოეთის გასაღებიო, ახლა რომ დავკარგეთ რაღა უნდა ვთქვათ?..

ცრუბერგ—ნუ სწუხდებით, ბატონო გენერალო, მე უკვე დავსწერე ჩვენმა ჯარმა სტრატეგიული მოსაზრებით დასტოვა როსტოვი მეთქი...

გენერალი—კარგი და ელევსი რომ დავატოვებინებს, ტიხინიდანაც რომ კისრის ტეხით გამოგვრეკეს და ყოველდღე გვატოვებინებენ ახალ-ახალ პუნქტებს?

ცრუბერგ—ამასაც ეშველება... ჩვენ დავწერთ, რომ ყინვებისა და თოვლის გამო მოსკოვის და ლენინგრადის აღება გადადებულია გაზაფხულამდე და რაც შეეხება ელევსის, ტიხინისა და სხვა ქალაქებიდან ჩვენს გამოდევნას ამაზე ვიტყვი, რომ ამ ქალაქებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონიათ და რომ ის რაც ეხლა ხდება „ადილობრივი მნიშვნელობის ოპერაციებია“...

გენერალი—დასახგრეტები ხართ თქვე არამზადებო, თქვე სიცრუის გულებო! წინათ დასწერეთ როსტოვი, ტიხინი, ელევსი და სხვა ქალაქები მსოფლიო მნიშვნელობის არიანო და ეხლა როცა დავატოვებინებს თითქოს ჩირადაც ალა-რა ღირს არც ერთი. წინათ სწერდით ყინვა ჩვენ წინსვლას ხელს უწყობსო, ახლა კი ამბობთ—ყინვაში შეუძლებელია ბრძოლის წარმოებაო! ვინ დაგიჯერებთი?... თქვენ სახელს უტეხთ და ამასხრებთ გერმანიის მხედრობას. ჩამოსახრობია თქვენი ჰებელსი და დიტრიხი და შენ კი აქვე უნდა მოგახროთ შე ჰორის გულად! (გენერალი გაექანება ცრუბერგისაკენ).

ცრუბერგ—(გარბის) ნუ გავიწყდება გენერალო, რომ ჩვენ გმოქმედებით ფიურერის სანქციით!..

გენერალი—(უცებ გონს მოსული) დიახ, დიახ... ჰაილ, ჰაილ!.. მე ვხუმრობდი, თორემ განა არ ვიცი ჩვენ ყველანი ვსტყუით ფიურერის სანქციით... თქვენ განაგრძეთ თქვენებურად... განაგრძეთ!..


ფარდა

ყირიგელი

ზარალი და მოგება

ნან. დონიხა

ტექსტი გ. შა-იახი



ჭიტლერი:—ეს რა არის გენერალო, რას გავს შენი ეგ სასწორი, სადღა არის თეთრი ბური, ნავთი, ქერი, ერბო, ლორი?

გენერალი:—ფიურერო, სასწორს ქაჩავს ცალმხრივ გამხმარ თავთა გარი, მეორეს მხრივ რჩება მხოლოდ ლაყობა და ჭორი, ჭორი.

წითელი არმიის გმირულმა წინააღმდეგობამ და მოსკოვზე მეორეთ გალაშქრების ჩაშლამ გააძლიერა პესიმისტური განწყობილება გერმანელ ჯარისკაცთა შორის.

ნახ. ა. დვინოგორცევიხი

(გაზეთებიდან)



— ჩემი შვილისაგან წერილი მივიღე აღმოსავლეთის ფრონტიდან... ხა-გვალმყოფოში მოუთავსებიათ.
— ხელი აქვს გატეხილი?
— ხელიც და გულიც.



— რას შვრებით? აიღეთ თუ არა შითითებული სიმაღლე, შევიწროვებთ თუ არა წითელი არმია?
— ვერ ავიღეთ შერ, რადგან წითელი არმია თავის სიმაღლეზეა.

„ამაჰცი“ გენერალი და მრისხანა კაპიტანი

ჯერ კიდევ კარგად არაა გათენებული, როცა სახელგანთქმული გენერალი ანტონესკუ გერმანელ კაპიტანის მისაღებ ოთახშია და ელოდება გამობრძანებას.

პატარა შეკამათება დასჭირდა მამაც გენერალს გერმანელ ეფრეიტორთან, რომელიც აგრეთვე მოსულიყო კაპიტანის სანახავად.

— რაც უნდა იყოს, უფროსის წინაშე თავაზიანობა უნდა იქონიოთ... იქნებ ვერც მიცნობთ? — შე გენერალი ვარ. მთელი საათია, აქ ვიცდი და ველოდები, სანამ კაპიტანი გაიღვიძებს.

— მე ის მიკვირს როგორ ბედავთ ასე თამამად ლაპარაკს გერმანელ ეფრეიტორთან... გასწორდით და გამოიჭიმეთ, როცა თქვენს წინ გერმანელი ეფრეიტორია... კაპიტანმა ჯერ მე უნდა მიმლოს.

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ რუმინეთში ხართ. ჩემს საკუთარ ქვეყანაში მე გენერალი ანტონესკუ ვარ... რიგით კაპიტანმა მე უნდა მიმილოს. მე დრო არ მაქვს.

— არც კი უნდა ამხედდეთ სირცხვილით, რომ თქვენ გენერალი ანტონესკუ ხართ... რაც შეეხება თქვენს საკუთარ ქვეყანას, დროა გაიგოთ, რომ თქვენც და თქვენი ქვეყანაც ჩვენს გამგებლობაში ხართ.

კაპიტანის საძინებელ ოთახიდან ხმაური მოისმა და მისაღებ ოთახში მყოფმა ანტონესკუმ აშკარად გაიგონა კაპიტან ბერბერგის ჩახველება.

კიდევ რამდენიმე წუთი და კაპიტანმა ინება კარის გაღება. მან ზარმაცად გადაავლო თვალი მოსაცდელ ოთახში მყოფთ და ვერც კი შეამჩნია გამოვიძული სუნთქვაშეკრული გენერალი ანტონესკუ.

კაპიტანმა ეფრეიტორს ანიშნა შესულიყო მასთან. შემდეგ მისაღებ ოთახს თვალი მოავლო და ერთ საგანზე თვალი შეაჩერა. კაპიტანი მოიღუშა: სუნთქვაშეკრულმა ანტონესკუმ თვალი გააყოლა იმ მხარისკენ, საითაც კაპიტანი იტყირებოდა და კუთხეში დაინახა, თუ საინებდა... დაინახა უწყესრიგოდ დაყრილი ჩექმები... დიდი ბატონის გერმანელ კაპიტანის ჩექმები... უკანასკნელმა შემდეგ მოლუშული თვალები გენერალ ანტონესკუს გადაავლო, თითქოს თვალით რაღაც ანიშნა და კარე-

ბი საჩქაროდ დაძახდა.

მამაცი გენერალი თვალის დახამხამებაში მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა. წამსვე კუთხეში მიიჭრა, კაპიტანის ჩექმა აიღო და ენერგიულად დაუწყო წმენდა.

წმენდს ჩექმას „ამაჰცი“ გენერალი და თვით უკვირს თუ რა ღრმა პატრიოტული გრძნობითა იგი აღვსილი.

— ზოგს არც კი ესმის, — ნაღვლიანად ღიქრობს მამაცი გენერალი, — არც კი ესმის, რომ თუ ასე არ მოვიქცეო, გერმანელები არა თუ რუმინელ ხალხს, არამედ მეც კი საკონცენტრაციო ბანაკში მიკრავენ თავს.

სწმენდს ჩექმებს მამაცი გენერალი და ამყად ფიქრობს: — „გერმანიის“ სარდლობას უჩემოდ ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეუძლია...“ მართალიც არის, სანამ ჩექმას არ ჩიცვავს გერმანელი კაპიტანი ბერბერგი ფეხს არ გადაადგამს ეზოდან.

ეფრეიტორის ვიზიტი დამთავრდა. იგი გამოვიდა ამყად გადახედა მამაც გენერალს და მხოლოდ ერთი სიტყვა ესროლა: — „მეორეთი!“

ანტონესკუ ჩექმებით ხელში შევიდა კაპიტანის კაბინეტში. უკანასკნელმა კმაყოფილებით შეამჩნია, რომ ჩექმები ლალაპებდა.

— დაბრძანდით, — ძლივს გაახსენდა კაპიტანს და ერთხელ კიდევ შეავლო რა თვალი გაპრილებულ ჩექმებს, განაგრძო, — მე კმაყოფილი ვარ გენერალო, მით, რომ რუმინეთის ჯარების სარდლობა ენერგიულად მოქმედობს.

ანტონესკუ წამსვე მოიხიბლა:

— ჩვენც მხოლოდ იმისთვის ვიბრძვით ბატონო კაპიტანო, რომ გერმანიის სარდლობამ შეამჩნიოს ჩვენი ერთგულება!

— მაგრამ, — განაგრძო კაპიტანმა; ერთგულება ჯერ კიდევ, არ სჩანს. არ კმარა, რომ ერთგული იყოს მარტო გენერალი. საჭიროა ერთგულება და თავდადება ჯარის მხრივ, ხალხის მხრივ... მართალია, თქვენ რუმინელი ხართ, მაგრამ იმდენი მაინც უნდა გესმოდეთ, რომ ჩვენ არ გამოგვეპარება თქვენი ქვეყნის ხალხის ბუზღუნა და უკმაყოფილება.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ ბატონო კაპიტანო, რომ რუმინელი ჯარისკაცები სიამოვნებით კვდებიან აღმოსავლეთის ფრონტზე პიტლერის საქმისათვის, რაც შეეხება რუმინელ ხალხს, ბატონო კაპიტანო, — ვინ ჰკითხავს ხალხს ქვეყნის ბედს? — თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც რუმინელი ხალხია უკმაყოფილო.

— როგორ!

— უკეთ რომ ვთქვათ, ახლა რუმინეთში უკმაყოფილონი აღარ არიან. ჩვენ ისინი ყველა დავაპატიმრეთ, ზოგი დავგვრიტეთ...

— მაშ ხალხი კმაყოფილია გერმანელებისა?

— ვერ წარმოიდგენთ ბატონო კაპიტანო როგორი კმაყოფილი არიან... თვით დედაქალაქში შემჩნეულია პატრიოტული აღმავლობა.

— კი მაგრამ რით უნდა აგხსნათ ის გარემოება, რომ ქალაქში ხშირია თვითმკვლელობა?

— ეს უნდა აგხსნათ ისევე ღრმა პატრიოტიზმით. ამ დღეებში ერთმა ჩამოხრჩობილმა მანდილოსანმა ასე განაცხადა: „თქვენ მოჰკალით ჩემი ქმარი პიტლერის საქმისათვის, ბარემ ჩემი სისხლიც შესვითო“.

— მაშ როგორც სჩანს ყველა კმაყოფილი ყოფილა. მაგრამ ჩვენს სარდლობას სურს უფრო მეტი ფაქტები იმისათვის, რომ თქვენი ხალხი ერთგულია ჩვენი ფიურერისა.

მამაცი გენერალი ერთ წუთს ჩაფიქრდა და გამოსავალიც უცებ გამოიხსნა.

— ბატონო კაპიტანო, მე დაგიმტკიცებთ უფრო მეტი ფაქტებით რომ რუმინელი ხალხი კმაყოფილია.

— აბა ახლა წადით და იმოქმედეთ... საღამოს ისევ მოხვალთ.

გენერალი ანტონესკუ გამოვიდა კაპიტანის ოთახიდან და დაინახა კაპიტანის სიტყვები „საღამოს ისევ მოხვალთ“. რა თქმა უნდა მივა გერმანელ კაპიტანთან, გენერალი ანტონესკუ მივა დაწყებული საუბრის გასაგრძელებლად და რაც მთავარია, ერთგულების დასამტკიცებლად... კაპიტანს ჩექმების გახა და ხომ დასჭირდება.

გამოსდილავის საუბავლუ

ნახ. ს. ნადარეიშვილისა

დასავლეთის მიმართულებით ბრძოლის დროს პურის მჭრელმა წითელარმიელმა გერმანელების შვიდჯანსაღი დასაჯის (გაზეთებიდან)

ბიბლიოთეკა



— შეუძლია თუ არა ერთ წითელ არმიელს შვიდი ცალი პურის დაჭრა ერთი წუთის განმავლობაში?
 — პური რა არის! თუ შემთხვევა მიეცა, შვიდი ტანკისაგან შვიდ ნაფლეთსაც აღარ დასტოვებს: ფერფლად გადააქცევს.

საბავთრო კოლხეთი

რედაქციის მისამართი: ფორეს ქ. № 5.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წ. 24/XII. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.

გამომც. № 79. შეკვეთა № 1832. შიგნით № 15.000.